

# საქართველოს 2018 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი



[www.mof.ge](http://www.mof.ge)

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  
2018 წელი

# სარჩევი

რას მოიცავს 2018 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში? | 3

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები | 5

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 6

2018 წლის იანვარ-ივნისის მაკროეკონომიკური მიმოხილვა | 7

სამინისტროების შესრულების მაჩვენებლები | 8



*ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ*

# რას მოიცავს 2018 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში?

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. **საბიუჯეტო პროცესი** არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა.



საქართველოს მინისტრის დამტკიცებულია ანგარიშების რომლებსაც დაწესებულებები ფინანსთა წარუდგენენ მათი ბიუჯეტის 3, 6 და 9 თვის შესრულების საანგარიშო დასრულებიდან 15 დღის, ხოლო წლიური შესრულების ანგარიშს – წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.

ფინანსთა ბრძანებით სახელმწიფო შესრულების ფორმები, მხარჯავი საქართველოს სამინისტროს პერიოდის

## 2018 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- საქართველოს 2018 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები;
- 2018 წლის იანვარ-ივნისის მაკროეკონომიკური მიმოხილვა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები;

- 2018 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- საქარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ნაერთი ბალანსი;
- საქართველოს 2018 წლის 6 თვის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები;
- 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვა (2018 წლის 1 ივლისის მდგომარეობით);
- ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ;
- მიზნობრივი გრანტები;
- საინვესტიციო პროექტების შესრულება (პირდაპირი ჩარიცხვები);
- საინვესტიციო პროექტების შესრულება;
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში;
- წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა.




აღნიშნული ინფორმაცია არის საქარო და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე [www.mof.ge](http://www.mof.ge).<sup>1</sup>

<sup>1</sup> <https://www.mof.ge/5179>

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა **12 459 500.0 ათასი ლარით**. საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა **5 748 132.8 ათასი ლარი**, რაც **წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 46.1%-ია**. საკასო შესრულებამ შეადგინა **5 465 901.4 ათასი ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **95.1%-ია**.




„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა **9 720 893.2 ათასი ლარით**. აღნიშნული სახსრებიდან 6 თვის პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა **4 571 788.6 ათასი ლარი**, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის **47.0%-ია**. განუღმა საკასო ხარჯმა შეადგინა **4 403 374.5 ათასი ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **96.3%-ია**.

|                |             |
|----------------|-------------|
| წლიური ხარჯები | 9,720,893.2 |
| 6 თვე გეგმა    | 4,571,788.6 |
| 6 თვე ხარჯი    | 4,403,374.5 |



6 თვის ხარჯების გეგმის შესრულება



წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება



## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2018 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **4 770 552.4 ათასი ლარით**, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა **5 019 831.5 ათასი ლარი**, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის **105.2%**.

|                    | 2018 წლის<br>6 თვის გეგმა | 2018 წლის<br>6 თვის ფაქტი | +/-              | %            |
|--------------------|---------------------------|---------------------------|------------------|--------------|
| <b>შემოსავლები</b> | <b>4,770,552.4</b>        | <b>5,019,831.5</b>        | <b>249,279.1</b> | <b>105.2</b> |
| გადასახადები       | 4,377,500.0               | 4,516,769.6               | 139,269.6        | 103.2        |
| გრანტები           | 194,543.4                 | 252,990.4                 | 58,447.0         | 130.0        |
| სხვა შემოსავლები   | 198,509.0                 | 250,071.5                 | 51,562.5         | 126.0        |

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **4 377 500.0 ათასი ლარით**, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა **4 516 769.6 ათასი ლარი**, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **103.2%**.

|                                   | 2018 წლის<br>6 თვის<br>გეგმა | 2018 წლის<br>6 თვის<br>ფაქტი | +/-               | %            |
|-----------------------------------|------------------------------|------------------------------|-------------------|--------------|
| <b>გადასახადები</b>               | <b>4,377,500.00</b>          | <b>4,516,769.60</b>          | <b>139,269.60</b> | <b>103.2</b> |
| საშემოსავლო გადასახადი            | 1,384,000.00                 | 1,425,648.90                 | 41,648.90         | 103.0        |
| მოგების გადასახადი                | 360,000.00                   | 397,406.20                   | 37,406.20         | 110.4        |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 2,036,000.00                 | 2,152,067.00                 | 116,067.00        | 105.7        |
| აქციზი                            | 675,000.00                   | 654,153.10                   | -20,846.90        | 96.9         |
| იმპორტის გადასახადი               | 28,500.00                    | 37,870.60                    | 9,370.60          | 132.9        |
| სხვა გადასახადი                   | -106,000.00                  | -150,376.20                  | -44,376.20        | 141.9        |



## 2018 წლის იანვარ-ივნისის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2018 წლის პირველი ექვსი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან **5.7%** შეადგინა.<sup>2</sup>

2018 წლის ივნისში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) **2.2%** შეადგინა.

2018 წლის ივნისში 2017 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ **5.4%-ით** გამყარდა და 2.45 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე.

2018 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ **5 985.9 მლნ აშშ დოლარი** შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე **24.3%-ით** მეტია.

სახელმწიფო ვალის ნაშთი 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს **16,316.5 მილიონ ლარს**. მათ შორის საგარეო ვალის **12,714.2 მილიონ ლარს**, ხოლო საშინაო ვალის ნაშთი **3,602.2 მილიონ ლარს**.<sup>3</sup>



<sup>2</sup> <https://www.mof.ge/images/File/biujeti2018-6Tve/TAVI-II.pdf>

<sup>3</sup> <https://www.mof.ge/images/File/biujeti2018-6Tve/Valis-Infomacia.pdf>

## სამინისტროების შესრულების მაჩვენებლები

|  | 2018 წლის<br>დამტკიცებული<br>გეგმა | 6 თვის<br>დაზუსტებული<br>გეგმა | 6 თვის<br>ფაქტიური<br>შესრულება | შესრულება<br>%<br>6 თვე | შესრულება<br>%<br>წლიური |
|--|------------------------------------|--------------------------------|---------------------------------|-------------------------|--------------------------|
| ფინანსთა სამინისტრო  | 82,300.0                           | 31,933.1                       | 30,324.4                        | 95.0%                   | 36.8%                    |
| ეკონომიკისა და მდგრადი<br>განვითარების სამინისტრო  | 229,550.0                          | 117,014.2                      | 95,842.5                        | 81.9%                   | 41.8%                    |
| რეგიონული განვითარებისა და<br>ინფრასტრუქტურის სამინისტრო   | 1,815,000.0                        | 555,682.0                      | 490,536.0                       | 88.3%                   | 27.0%                    |
| იუსტიციის სამინისტრო   | 63,000.0                           | 39,588.5                       | 38,259.0                        | 96.6%                   | 60.7%                    |
| სასჯელაღსრულებისა და<br>პრობაციის სამინისტრო   | 150,000.0                          | 69,050.0                       | 68,376.7                        | 99.0%                   | 45.6%                    |
| საგარეო საქმეთა სამინისტრო   | 120,950.0                          | 69,258.5                       | 66,129.8                        | 95.5%                   | 54.7%                    |
| თავდაცვის სამინისტრო   | 802,000.0                          | 443,448.0                      | 417,913.2                       | 94.2%                   | 52.1%                    |
| შინაგან საქმეთა სამინისტრო   | 569,590.0                          | 278,637.0                      | 266,138.7                       | 95.5%                   | 46.7%                    |
| გარემოს დაცვისა და სოფლის<br>მეურნეობის სამინისტრო   | 274,765.0                          | 119,314.5                      | 106,374.6                       | 89.2%                   | 38.7%                    |
| განათლებისა და მეცნიერების<br>სამინისტრო   | 1,186,215.0                        | 641,560.0                      | 647,091.3                       | 100.9%                  | 54.6%                    |
| კულტურისა და სპორტის<br>სამინისტრო   | 285,255.0                          | 156,600.4                      | 133,793.8                       | 85.4%                   | 46.9%                    |
| ოკუპირებული ტერიტორიებიდან<br>იძულებით გადაადგილებულ პირთა,<br>განსახლებისა და ლტოლვილთა<br>სამინისტრო | 96,200.0                           | 53,109.0                       | 52,812.1                        | 99.4%                   | 54.9%                    |
| შრომის, ჯანმრთელობისა და<br>სოციალური დაცვის სამინისტრო  | 3,528,000.0                        | 1,753,734.5                    | 1,714,448.5                     | 97.8%                   | 48.6%                    |

საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა **854.1 მლნ ლარი;**

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ **320.4 მლნ ლარი;**

„მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა **360.0 მლნ ლარი;**





2018 წლის ივნისში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ყოველთვიური სოციალური დახმარების (180 ლარი) გაცემა, საანგარიშო პერიოდში დახმარება გაიწია 583 პირზე;



მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში ბინა გადაეცა 779 ოჯახს;

გრძელვადიანი საცხოვრებლით ახალაშენებულ კორპუსებში დაკმაყოფილდა 395 ოჯახი;

სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაენია 4 010 დევნილს;

ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 220 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა **374.3 მლნ ლარი**;

სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების დაფინანსებისა და ახალგაზრდების წახალისების მიზნით მიმართულ იქნა - **81.0 მლნ ლარი**;

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ მიზნით მიიმართა **9.4 მლნ ლარი**;

საქართველომ უმასპინძლა ოთხ მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებას: ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში; თბილისის გრან-პრი ძიუდოში; მსოფლიო რბენა „Wings for Life“ 2018 და ჭიდაობის გრან-პრის;

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა **27.5 მლნ ლარი**;

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა **291.6 მლნ ლარი**;



წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა **77.0 მლნ ლარი**;

2018 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში საქართველოს ეწვია 3 561 961 საერთაშორისო მოგზაური, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 13.6%-ით;

„ანარმოე საქართველოში“ პროგრამის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 103 ბენეფიციარისათვის **34 მლნ ლარის** ჯამური ღირებულების უძრავი ქონების გადაცემა;

2018 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ე. წ. ბენჩმარკ ბონდების რეგულარული ემისია დაიწყო. 6 თვის განმავლობაში განხორციელდა **470.0 მლნ ლარის** სახაზინო ობლიგაციების (2, 5 და 10 წლის ვადის მქონე) ემისია.

